


შაბათი, 13 ივნისი | მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება"-ზე | № 24 — 1915



**ილია ივ. წინამძღვრიშვილი**

საზოგადო მოღვაწე, წინამძღვარიანთ-კარის სკოლის დამფუძნებელ-მზრუნველი, ავადმყოფობის გამო.

[illegible]

**შაბათს, 13 ივნისს,**

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით თვის ნივთიერ საშუალებათა [illegible] ლიერებლად გაიმართება

# სამხატვრო-სამუსიკო საღამო

I პირიმზე (ბრძოლა კეთილ და ბოროტ სულთა შორის), ზღაპარი-პოემა ერთ მოქ. გ. ფოცხვერაშვილისა. გალექსილი შ. დადიანის მიერ. დასდგამს ალ. წუწუნავა

II **აბესალომ** და **ეთერი**, ქართ. ორიგინალური ოპერა ზ. პ. ფალიაშვილისა, პირველი სურათი ავტორის დირიჟორობით. — რეჟისორი ალ. წუწუნავა

Ш. საკონცერტო განყოფილება

1. ბოროდინი. **Въ средней Азіи**, სიმფონიური პოემა, შეასრ. სიმფონ. ორკესტრი ზ. პ. ფალიაშვილის დირიჟორობით.

**ევა ბრიუნელის** ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება: 2. გრიგი Peer gynt ა. Утро. ბ. Смерть Азы. გ. Танецъ Анитры. დ. Въ чертогахъ царя горъ. 3. სვენდსენი Зарохайда. 4. სიბელიუსი Вальсъ печали. 5. როჟე-დიუკაზი Сигнальные рожки.

**ზ. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება: 6. რიმსკი-კორსაკოვი აღმოსავლეთის რომანსი. 7. ზ. პ. ფალიაშვილი—ნანა-შვილო. 8. მისივე კვარტეტი და არია ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ შეასრულებენ: ქქ-ნი კ. კოლოტოვისა და პრესინსკაია; ბბ. გურჯი და პეტროსიანი.

მონაწილეობენ: ქქ-ნნი **ევა ბრიუნელი, მ. კოლოტოვისა, პრესინსკაია;** ბბ-ნნი **ზ. პ. ფალიაშვილი, ი. პ. სარაჯიშვილი, ი. ტომაშევიჩი,** გურჯი, ინაშვილი, პეტროსიანი, ქართველ მსახიობთა და სცენის მოყვარეთა ჯგუფი, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების ხორო და გაძლიერებული სიმფ. ორკეს. „ახალი კლუბისა“.

**დასაწყისი სად. 8 ½ ს.**

საღამოს დიასახლისნი: } **გეოგარ ხანუმ პრინცესსა კაჯარი.**
**კნ. ელისაბედ ერეკლეს ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა**

---

# ს ა ხ ა ლ ხ ო   ს ა ხ ლ ი

**პარასკევს, 19 ივნისს (თიბათვე)**

ქართველ მსახიობთა **ალ. შანშიაშვილის** და **ზ. გომელაურის** მიერ რეჟისორ ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით და ქ-ნ **ც. ამირაჯიბის, ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას, ივ. ხარაჯიშვილისა** და სხ. მონაწილეობით გაიმართება

დიდი სალიტერატურო სამუსიკო და იუმორისტული

# ს ა ღ ა მ ო

**განყოფილება I**

ქ-ნ **ც. ამირაჯიბის, ალ. შანშიაშვილის** და სხ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ს ი ს ხ ლ ი ს   ლ ა ქ ა

დრამა 2 მოქმ.

II **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## არც აქეთ, არც იქით

ვოდ. 1 მოქ. ვალ. გუნიასი.

III **საკონცერტო განყოფილება** ბ-ნი **ი. სარაჯიშვილი** იმღერებს საუკეთესო რომანსებს და არიებს. ქ-ნი **ჯაჯანაშვილისა** და ბ-ნი **ინაშვილი**—რომანსებს. აკომპანიმენტს დაუკრავს ქ-ნი **ნემეტტი.**

IV **(იუმორისტული განყოფილება)** წარმოდგენილი იქნება ბ. **თაგუნას** მიერ შედგენილი სცენა-შარჟი **სამთა შეთანხმება** **(ვილჰელმი, ფრანც-იოსები და ენვერ-ფაშა)** ვილჰელმი—**ვ. გუნია,** ფრანც-იოსები—**ვ. აბაშიძე,** ენვერ-ფაშა—**ზ. გომელაური**

დასასრულ **ბ. მ.** ქიაურელი იმღერებს სარაჯიშვილისებურად, დაროშვილი წაიკითხავს ლექსებს გრიშაშვილისებურად და **რ. ჯიბლაძე წაიკითხავს გურულ სცენებს**

**დასაწყისი სად. 8 საათ.** — ადგილების ფასი 1 მ-დან 10 კ.მდე

გამგე ზ. გომელაური — რეჟისორი ალ. წუწუნავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრი და ცხოვრება

# № 24

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41




## 13 ი ვ ნ ი ს ი

**ძმათა აჭარელთა—ქართველ მაჰმადიანთა შესაწევრად..,**

„დღეს გამოჩნდება, ძმანო, ვის უფრო გვიყვარს მამული!“ ასეთის სიტყვებით შესძახებდენ ხოლმე ჩვენი წინაპარნი ჟამსა მამულის გაჭირვებისასა...

და ღირსეულნი შვილნი ღირსეული მამულისა ღირსეულად იცავდენ თავის მიწა-წყალს—სამშობლოს...

სიცოცხლე არავის ენანებოდა! სიკვდილს ერთი მეორეს ეცილებოდენ მამულის სადღეგრძელოდ...

შავ-ბნელი, სისხლით შეღებილი და სევდით მოსილი დღენი-კი ჩვენს მამულს ბევრი ჰქონდა წარსულში...

ისეთივე შავ-ბნელი დღე ადგია ჩვენს მამულს დღეს..

დღეს, როდესაც ყოველი დევნილ-შევიწროვებული ერი ცდილობს თავის სხეულებრივ არსებობასთან ერთად უფლებრივი მდგომარეობაც გაიუმჯობესოს, ლამის არის ჩვენი ტურფა სამშობლო და მისი უხსოვარ დროის მკვიდრნი უარესად დააქუცმაცონ, დაქსაქსონ...

რომელ ქართველს არ აღავსებს სიამაყით ძველი მესხეთის, ტაო-კლარჯეთის სიდიადე და მისი მესვეურობა საქართველოს განსაბრწყინვებლად, ხოლო დღეს რომელ ქართველს არ დაამწუხარებს ამ სამშობლოს ძველი დიდებული ნაწილის ჩამომავალ მკვიდრთა აჭარელთა—ქართველ მაჰმადიანთა შავბედითი მდგომარეობა—უკანასკნელ ომიანობით მათი აწიოკება...

ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ჩვენი ძმების—აჭარლების—ბედი ცეცხლს არ უკიდებდეს...

დღეს ლამის არის ეს კურთხეული და ყოვლის უხვებით მოსილი მხარე დაგვეღუპოს...

მაგრამ არა. მრავალ ჭირს გამოვლილმა ქართველმა დროით შეიგნო, რა საფრთხეც მოგველოდა ამ ძმა-ქართველ მაჰმადიანთა განადგურებით და ძმურად ხელი გაუწოდა!..

უქმად არ ჩაიარა ქართველ მაჰმადიან გულო ალა კაიკაციშვილის მიერ აკაკის ცხედართან წარმოთქმულმა სიტყვამ, ჩვენმა და სხვა გაზეთების მოწოდებამ, ქართველ მოწინავე პირთა თავგამოდებულმა მუშაკობამ და ამ მრავალტანჯულ ხალხს თანაგრძნობა გამოუცხადა.

მაგრამ ეს არა კმარა: დარბეულ-დამშეულ აჭარლებს ბევრგვარი დახმარება ეჭირვება: საზრდოს მიწოდება, დანგრეულ-განადგურებულ ბინის აღდგენა, უსამართლოდ დევნილთა თავის კარმიდამოზე დაბრუნება რომ მამაპაპათა სისხლით მორწყული ადგილ-მამულიდან არ გადიხვეწნენ, სამეურნეო შემწეობა, მათივე მოთხოვნილებისამებრ სკოლების გახსნა და სხ.

დიაღ, საჭიროება დიდია..

ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად თავგამოდებით უნდა მუშაობდეს ყოველი ქართველი, ყოველი შეგნებული ადამიანი...

ამავე მიზნით ქართული საქველმოქმედო საზოგადოება გეოგარ ხანუმ პრინცესა კაჯარისა და კნ. ელისაბედ ერეკლეს ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის დიასახლისობით დღეს სახაზინო თეატრში ჰმართავს მდიდარ შინაარსიან საყურადღებო საღამოს, რომლის სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი შემოსავალი აჭარელთა სასარგებლოდ გადაიდება..

მაშ ნუ დავიზარებთ მოყვას-ძმათა დასახმარებლად: ჩვეულებრივი ქართველური გულუხვობა დღესაც გამოვიჩინოთ და მით დავამტკიცოთ, რომ უწინ თუ ჩვენი წინაპარნი მამულის სადიდებლად სიცოცხლეს არ იზოგავდენ, დღეს ამ მამულის მთლიანობის დასაცავად ჩვენს ნივთიერ დახმარებას არ დავიზოგავთ..

ძმანო, სულით და გულით აჭარელ—ქართველ მაჰმადიანთა შემწეობა,—აი რით უნდა გავითბოთ გული და დღეს, შაბათ საღამოს სახაზინო თეატრისკენ გავემართოთ...

# დასის მოგზაურობა

(იხ. „თ და ც.“ № 23)

II

უბრალო დუქნის ვიწრო ოთახში საშინელი ბული იდგა ახრჩოლებულ ნავთის ლამპრისა და თამბაქოს ბოლისგან. ეტყობოდათ მომსვლელებს ეს ამბავი არც თუ იმდენად გაკვირვებიათ, პირ-იქით—თითქო დუქნის სითბომ ძვლებიც დაუამათ, რადგან კარში ჯერ კიდევ ზამთრის სუსხი იყო გამეფებული.

თუჯის ღუმელის იქით, კუთხეში „კამპანია“ ქეიფობდა და დაინახეს თუ არა ახლად შემოსულები, კეთილის თავაზიანობით ღვინო შესთავაზეს.

მომსვლელებს შიოდათ და უზმოზე ღვინო არც თუ იმდენად საამური იყო, მაგრამ „ხათრით“ უარი ვერა სთქვეს. მით უფრო, რომ „კამპანია“ მათი კარგი ნაცნობი იყო; ზეინკალი ნიკო, მებუხრე ბრიქი და ასოთ-ამწყობი გიორგა.

„ანკარა“-ში მოსიარულენი ყველანი კარგად იცნობდნენ ამ სამებას და ახლად შემოსულები ხომ კიდევ უფრო: ერთი, რომ ეს სამება მუდამ დაიარებოდა ქართულ წარმოდგენებზე და იცნობდა ყველა მსახიობთა მიერ განსახიერებულ ტიპებს. მაშასადამე იცნობდა ანდროს და სოსოსაც. ხშირად მათ მიერ შესრულებული როლები იწვევდა მათ თავისებურ კრიტიკას ან ალტაცებას. ხოლო ისიც იცოდნენ, რომ იქ, თეატრში, სულ წინ, რაღაც ყუთი დგას, იქ ვარლამი იმყოფებოდა და ზოგჯერ რომელიმე წარმოდგენის შემდეგ „ანკარა“-ში ერთად შეკრებილნი, ვარლამს ჩაუხუმრებდნენ კიდეც—დღეს შენი ხმა ძალზე ისმოდაო. ასე რომ მოსულთ და დამხვედრთ შორის არსებობდა ერთგვარი ახლო ნაცნობობა, რომელიც კიდევ უფრო მტკიცდებოდა „ანკარა“-ში თავ-მოყრით და იმერულ მაღლარის ზეგავლენით.

არ ითქმის, რომ „ანკარა“-ს პატრონს დიდათ გახარებოდეს მსახიობთა მისვლა:

ემართათ ყმაწვილებს. ბევრი არა—ზოგს თოთხმეტი შაური, ზოგს მანათი, ზოგსაც მანათ-ნახევარი, მაგრამ ვალი მაინც ვალი იყო.

უთუოდ ამიტომ, სანამ სოსო და ანდრო ბრიქის „კამპანიაში“ ღვინოსა სვამდნენ, მანამ ვარლამმა დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა დუქნის პატრონთან.

მოლაპარაკებამ გასჭრა. ცოტა ხნის შემდეგ ვარლამ, ანდრო და სოსო ცალკე სუფრას უსხდნენ და მათ წინ პაწია ყველის ნაჭერი, წითელი ბოლოკი, ორი შოთი და ერთიც დიდი ჩარექა იმერული მაღლარი იდგა.

— კაცო, ვერ წარმოიდგენ რა საშინლად შემიყვარდა ეს წითელი ბოლოკი!..

ამბობდა ვარლამი და თან ხარბად აკნატუნებდა ახლად მოწვეულს პარნიკის თვიურს.

— შენ რა გინდა? შენ ლობიო?

შეეკითხა იგი სოსოს.

— ოო, ლობიო! თუ კი არის! გაქვს კირკაჟი ლობიო?

— არის.

უპასუხა დუქნის პატრონმა და წავიდა თავის ღუმელისაკენ, რომელზედაც სპილენძის პაწია ქვაბი იდგა და შიგ წითელი ლობიო თუხთუხებდა.

— ჰა, ჰა!..

გაეცინა სოსოს.

ყმაწვილებო, ვერ ხედავთ ჩვენი „ხაზეინი“ როგორის ამრეზით გვეპყრობა?.. რა ვქნათ ვერ გადავიხადეთ მაგის ვალი!..

— რას ამბობ!.. ეს ამ თვის არის, თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ევტ. თალაკვაძე**

დამსახურებული სცენის მოყვარე, ბაქოს სამხატვრო-სალიტერატურო წრის სცენის მოყვარეთა ჯგუფის ხელმძღვანელი, მეოცე წელიწადია რაც სახალხო სცენას ემსახურება პროვინციაში და საუკეთესო სცენის მოყვარეთ ირიცხება.

---

რემ იმ თვეში ხომ თხუთმეტ მანათამდის გავისტუმრეთ კიდეც.—

ჩაუმატა ანდრომ:

—მეტი რა უნდა?! ჩვენგან ყოველთვიურად თუ არა მეტი, ერთი ორ თუმნამდი მაინც შემოსავალი ექნება...

— ჰო და მაინც სხვა თვალით გვიყურებს.

ღიმილით წარმოსთქვა ისევ სოსომ.

— მაინც ვერ შეგვეჩვია... მსახიობი მაგას მაინც სხვა, წყალ-წაღებულ ადამიანად მიაჩნია. დარწმუნებული ვარ ამ „ბრიქის" კამპანიას ჩვენზე მეტად ენდობა.

— აბა არ იცი?—

მიაყოლა ვარლამმა და სამივეს გაეცინათ.

— ეჰ, კიდევ ბევრი დრო გაივლის სანამ ჩვენც გვიწამებენ—სანამ მსახიობიც ადამიანად იქმნება ჩათვლილი...ჩვენს მოწინავეებს, ჩვენი სცენის პიონერებს ხომ ბევრი გაჭირვება და დამცირებაც გამოუვლიათ, მაგრამ ჩვენც კიდევ ბევრი გზა გვაქვს გასავლელი, ბევრი ეკალ-მურდი გასაკაფი, რომ ჩვენც მოქალაქეებად ვიქმნეთ ჩარიცხული.

წარმოსთქვა სოსომ და ღვინით სავსე ჭიქა თავისკენ მიიახლოვა.

— კი, მაგრამ ესეც რომ ცხადია,— ალაპარაკდა ახლა ანდრო—შენ თვითონ არ ამბობდი, რომ ქართველ მსახიობის მდგომარეობა ახლა გაუმჯობესდა: მეტი პატივისცემა აქვს, ხალხს უყვარს და მალე დადგება ის დროც, რომ ცოტაოდნად მაინც წლიდან წლამდე უზრუნველი იყოსო.

— არა, რა თქმა უნდა - შედარებით ახლანდელი მდგომარეობა უკეთესია.—აი, ჩვენც კი მოგზაურობას ვაპირებთ. - ჩვენ „უჩინონი", ჩვენ უჩინონი...

გაიღიმა სოსომ.

— ამას წინეთ ძლივს ახერხებდნენ ჩვენი სცენის მეთაურნი, ისიც უმთავრესს ცენტრებში თუ მიდიოდნენ. - ჩვენ კი გვინდა ამ ზაფხულს დაბა სოფლადაც მოვედვეთ... უკვე ესეც პროგრესია. მაგრამ ჯერ ერთი თუ სახელოვანნი არა ვართ, ვინ მოგვაქცევს ყურადღებას და მეორე: როგორ შემოგვცქერიან საზოგადოდ ახალგაზდა მსახიობებს— გზა-დაკარგული ხალხიაო... ვერსად ვერაფერი უნარი ვერ გამოიჩინეს და ახლა სცენას შეეკედლენო. და მერე რა იციან, რომ მეც რაღაც ცეცხლი მიღვივის გულში, მეც... შენც ანდრო... ვარლამს ხომ თქმა არ უნდა; სხვები, ჩვენი ამხანაგებიც. — ლოთები ხართო, „ანკარას" ვერ გასცილებიხართო. რა მსახიობები უნდა გამოვიდეს თქვენგანო! აი რას გვასმენენ. გუშინ ბიძა ჩემი შემხვდა. აი სასამართლოს ბოქაული.

— რომელია?

— როგორ არ იცი,სოლომონ კვერნიაშვილი. მესამოცე წლებში თვითონ ღებულობდა წარმოდგენებში მონაწილეობას, კარგი კომიკიც იყო თურმე. ჰო და შემხვდა და ჩვეულებრივ მიმაჯოჯოხეთა: ძალიან კარიერა არ აირჩიეო... საბრალო დედა შენი, ამისთვის იდგამდა წელებზე ფეხს, ამისთვის მიგაღწევინა გიმნაზიის მერვე კლასამდის, რომ „აქტიორი" გამოსულიყავიო? ასეა, და განა თქვენ კი ძვირად არ დიგიჯდათ ეს „აქტიორობა?.."

აქ ცოტა არ იყოს აიმრიზა ანდრო.

— მე.

ცოტა შეგვიანებით წარმოსთქვა მან.

— მე.—აგერ ეს ჩვენი მოგზაურობა თუ შესდგა, გამოგყვებით და.—შემდეგ საშემოდგომოთ რკინის გზაზე —კონდუქტორის ადგილს შემპირდნენ და მართალი გითხრა წავალ...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომგვარე რაში, შავი რაში—ცეცხლის მფრქვეველი!!

ფეხმძიმედ დაეხეტებოდა მტრის ბანაკს მოწყვეტილი ხუმარა მხედარი და დაჟანგულ თოფს კონდახით ნაჯიჯგნ მიწაზე დაატარებდა...

და აქ, სიპ კლდეზე, ჯეირანივით ამაყად იდგა ძლევის კვერთხით მშფოთარე სარდალი. აჰრილი ოცნების სამთავროს, რისხვით ღმერთს შესთხოვდა:

„მომგვარე რაში, შავი რაში, ცეცხლის მფრქვეველი, რომ კიდით-კიდემდე შევსრა, შევბღალო კეთილმორწმუნეთ სისხლისა მღვრელნი.

კვერთხი შევახო, ძლევის კვერთხი, ცათა აღმართულს უწმიდურ გოდოლს და მტვრად ვაქციო...

მომგვარე რაში, გემუდარები ყოვლის შემძლე, მაღალო ღმერთო, რომ თეთრი ალამი, წინასწარვე აღმართული ძლევის სიმბოლოდ, სისხლით შევღებო, ბრძოლის ქარცეცხლში ავაფრიალო..."

მხურვალე ლოცვით ევედრებოდა ცათა მსხდომელს მეფე სარდალი.

და იმ ჟამს, როცა ლტოლვილი სული მხნე სარდლისა ფიქრის იალბუზს გარს ევლებოდა შავს გონებაში, ბუკი-ნაღარა დაჰკრა უეცრად უკანმომდგარმა, ამხედრებულმა ურიცხვმა ჯარმა. . და გაჩნდა რაში, შავი რაში, მეფურ სამოსლით, თვალ-მარგალიტით ამოწყობილი...

რბოდა რაში სარდლის თვალწინ აღვირშვებული, ფაფარ-აყრილი, ვითარც ზღაპრული სანახაობა.

რბოდა მხედარიც რაშის გასწვრივ, ვითარც მშვენება, სიტურფე მამაკაცისა და ვერ შეეპყრო, ვერ წაევლო აღვირედს ხელი.

ბუკს და ნაღარას გულის მომწველს, სულის დამდაგავს, ხმა საზარელი კიდევ აღმოხდა, ხმა განგმირველი ლომრაზმისა კიდევ განახლდა და... შედგა რაში ყურ-დაცქვეტილი, ტორის ცემით, ჰიხვინ-ფრუსტუნით..

—-ჰკა! ჰკაა!!—დაიფერა ხმები ამშლელი სარდლის სულისა და ვეფხის სიმარდით რაშს მოახტა ხმალ-ამოწვდილი..

ცეცხლის რაშმა თვალ-ნესტოთაგან ცეცხლი დაჰყარა, ჰაერს აიჭრა აყალყებული და... ცელქმა ტყვიამ გაიშხუილა, ხუმარა მხედრის, ხუმარად ნასროლმა, და წარიტაცა სარდლის ზრახვა, ფიქრი ფრთიანი..

**გ. დათიაშვილი**

—⁂—

# ფიქრები დარაჯობის დროს

ჯარს ვდარაჯობ. ვდგევარ მარტო თოფის პირზე დაყრდნობილი
და გავყურებ ბანაკს მტრისას, და გავყურებ დაღვრემილი.
ამომავალ მთვარის შუქის ჯადოსნური ელვარება
მე მაგონებს დროს დაკარგულს და გულს იპყრობს მღელვარება.

ნუთუ .. ნუთუ ამ მწირ ველზე, სად გაჰლმუის მინდვრის ქარი,
ჩემს ხანმოკლე სიცოცხლესაც დაედება აქ საზღვარი?!
მესაფლავევ! როცა მნახო ბრძოლის ველზე დაცემული,
არ მეჭიროს თოფი ხელში, არ მიძგერდეს მკერდ ქვეშ გული,
აი მაშინ ამოსთხარე სამარე ღრმა, ცივი, შავი,
და შიგ მარტო ჩამასვენე. მე არ მინდა „ძმათ საფლავი“.
სიცოცხლეში მარტო ვიყავ, მკვდარს რათ მინდა მეგობარი:
იქ მსურს მყუდროდ მოვისმინო, როგორ მიგლოვს მინდვრის ქარი.

იქ მყუდროა... იქ არ ისმის თოფ-ზარბაზანთ ქექა-გრგვინვა,
იქ ჩემ ფიქრებს ვერ დამიფრთხობს დაჭრილთ მწარე კვნესა-გმინვა.
და იქნება ავხსნა მაშინ ყოფნის ბნელი ამოცანა:
რად გვექცევა ტანჯვის ველად მომხიბლავი ეს ქვეყანა?!.

**ღრუბელი**



პოდპორ.

**შალვა ალექსანდრეს ძე ზედგინიძე**

გერმანიის საზღვარზე მძიმედ დაჭრილი და უკვალოდ დაკარგული. უკეთუ მაზე ვინმემ რამე ცნობა იცის,—მშობლები დაბეჯითებით სთხოვენ მიაწოდონ ჩვენი რედაქციის საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბახტრიონი

## პოემა ვაჟა ფშაველასი

(კრიტიკული ესკიზი)

(დასასრული. იხ. „თ. და ც." № 20—23)

ხალხის ასეთი შეხედულება ვაჟა-ფშაველას გამოხატული აქვს „ბახტრიონ-ში... ბერი ლუხუმი სარწმუნოების ზემჭვრეტელობით მეოხებით ომის დაწყებამდის ხედავს ლაშარის ჯვარს, რომელიც ცხენით მიუძღოდა წინ ჯარსა... თითოეულს მხედარს თავისებურად ეჩვენება იგი... ამ სანახაობამ, უფრო დამყარებულმა მათს რწმენასა და გამოსახულებაზე, ძლიერ გაამხნევა ლაშქარი, რომელიც ერთხმად იძახდა:

„ნეტავ რა მტერი იქნება
ახლა გაგვიძლოს, ბიჭებო«!

ისინი ხედვენ ლაშარის ჯვარის ცხენის ნაფეხურსა ელვარესა... ამის მეოხებით

„ალტაცებულსა ლაშქარსა
გული გაჰხდია მღელვარე".

თუშ ფშავ-ხევსურნი, დასახლებულნი კავკასიონის გადასავალ ხეობებს შორის, დარაჯად უდგნენ საქართველოს და ჩრდილოეთის მცხოვრებთ არ აძლევდნენ ნებას გადმოელახათ კავკასიონისქედი ქართველთა თავისუფლების შესამუსრავად. მათი საარაკო სიგმირე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოს რკინის კარი შეეხსნა, გასაოცარია... ელგუჯა ად. ყაზბეგისა მთელი მთიელების დამახასიათებელი გმირია. დიდის სიფხიზლით ეკიდებოდნენ ისინი საქართველოში ყოველ ახალ-ახალ მოვლენას და ცვლილებას, და ასე თუ ისე პასუხს სცემდნენ... მისწრაფება თავისუფლებისადმი დღესაც კი დვივის იმათს გულში .. ტყუილა ხომ არ ამბობს ფშაველი თავის სიმღერაში:

„მკვდარნი ნუ ვისა გგონივართ,
გრძნობა მიხდილი ლეშია,
კიდევაც მიდუღს ვაჟასა
მთიული სისხლი მკერდშია!«

ვაჟა-ფშაველას, როგორც ლაღი მთის შვილს, უფრო მწვავედ აფიქრებს თვისი სამშობლოს ლუხჭირი ბედ-იღბალი. და ამის გამო მან საგნად დაისახა, რათა სოფლის ჭირი გამოემჟღავნებინა სტვირის საშუალებით. მან სოფლის წუღუღებმა, რომელთაც მისი გული დაასნეულეს, აადებინეს ხელში სტვირი.—სტვირის საშუალებით მას სურდა განექარვებინა გულის მძიმე წუღუღები, მაგრამ ისიც ქურდებმა მოჰპარეს. მაგრამ ვის რად უნდა ის სტვირი? ვინ მოიხმარს მას? პოეტი ამბობს, რომ ეს სტვირი

„თვითონ გავსთალე ველურად
ლერწამნი დუდგულისანი,
სალტები გადავუჭირე
ბედკრულთ და ოხერთ თმისანი.
მის ქარასხაში ჩავქსოვე
სოფლის წყლული და ჭირიო...
ვერვინ შეატყობს იმასა,
უფრო იმიტომ ვსტირიო!"

პოეტი სწუხს, რომ ვეღარ ნახავს თავის სტვირს, რომ მისი ხმით ქალსა და კაცსა ადინოს „ცრემლის ღვარი«.. მის მიერ ჩაქსოვილი ქარასხაში სოფლის წუღუღი და ჭირი —უპირველესად საქართველოს წუღუღი და ჭირია... ამ წუღუღის მოსარჩენად და ჭირის გასაქარვებლად მან აამღერა თვისი ქნარის სიმები... ის მთის მწვერვალზე მდგარი გამოეხმაურა ბარის საქართველოს... გააცნო მთის გულის ნადები, მთიელთა გარდმოცემანი, მათი გრძნობანი და მისწრაფებანი... მათი როლი საქართველოს ისტორიულს ცხოვრებაში პოეტურის ხიმშვენიერით დაგვისურათხატა:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა;
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა..«

ასეთი იყო მგოსანი, როდესაც მთაში იყო და ბარის ჭირ ვარამი ჯერ არ გაეთვალისწინებია. მაგრამ პოეტმა გადასწყვიტა ბარად ჩამოსვლა, მას თან გაჰყვა „ფიქრი მწუხარე გულის, გონების მწველია".

„მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა
ვაჰმე, რა მეტად ძნელია!
წამლობას ვეღარ გამიწევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ცრემლები ცხელია...“

ვაჟა-ფშაველა დარწმუნებულა, რომ ბარად კარგი ბედი არ ელის.

„რად მოვალ, თავ-ქვე რად მოვალ,
ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?
იმ მთას თავს რისთვის ვანებებ,
თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად!“

მაგრამ მგოსანს არ შეეძლო მთაში დარჩენა.. უსათუოდ უნდა მოვლინებოდა ბარის საქართველოსაც, რათა მისთვის ეუწყებინა თავისი ღვთიური ჩანგის ხმები. არ შეეძლო თავის თავის და თვისი მოწოდების უარყოფა... და მან არ უარჰყო არც პირველი და არც მეორე., თვისი სტვირის მეოხებით აუწყა ქართველ ერს ის ღვთიანი გრძნობები, რომელნიც მას მთებმა ჩასჭიერეს გულში და აღუზარდეს... და აგი ამ ღვთიურმა გრძნობებმა მრავალი ქართველის გულში, რომელნიც სიფხიზლით უცქერიან ცხოვრების მიმდინარეობას, გამოიწვიეს, მსგავსივე ღვთიური გრძნობები... და ასეთი ღვთიური გრძნობების მოძღვარი მგოსანი ნამდვილად რას განიცდის დღეს? სწორედ იმას, რასაც ამბობს თავის სიმღერაში:

„არც ტანთ მაცვია, არც ფეხთა,
დავდივარ დაობლებული.
მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც ს-ღარიბით ცნობილა.
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა
ჩემს გარდა, ასეთს ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.
ყველას სამარე მიგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა...“

ასეთია საზოგადოდ ხვედრი დიდ ბუნებოვანი გვამებისა: მათთვის სიღარიბე და ხელმოკლეობა—ერთგული განუყრელი მეგობარია...

**ილ. ფერაძე**

# ტბის სირცხვილი

— რის გრცხვენია ტბავ?!.

ნუ თუ შენმა ღაწვებმაც იგრძნო უმანკო სირცხვილი!.. ნუ თუ შენმა გველმა და შფოთმა გულმაც იგრძნო სულის შეტაცება??

ნუ გრცხვენიან ტბავ !! შენ თვით სირცხვილს არცხვენ შენი ურცხვი სირცხვილით

თუმც გაქებდი და კიდევ ვაქებ შენს ტბიურს მშვენიერებას, მაგრამ არც გაკიცხვი აგაშორებ.

ნუ არცხვენ ბუნების გერო შენი ურცხვი სირცხვილით უმანკო ზღვას!!! შენს გულში ქვეწარმავალთ გარდა ვერა ჰბუდობს რა!

— შშშ!. ტბა —ტალღები

რად ჰშხუი ტბავ? განა შენც შეგიძლიან ზღვასავით მშვენივრად გამოსთქვა გულის წყრომა? შენ ჰბაძავ ბრმად ზღვას, უბედურო, და მით შენი მიბაძვაც უბედურია.

— სსსს!.. ტბა—სიო.

რად ჰსისინებ გველივით გულბოროტო! შენ თავშესაქცევად შეგქმნა განგებამ. შენ სამოთხიდან განდევნილი ზღვის ნაწილი ხარ, შეჩვენებულო! ნუ ჰფიქრობ ოდესმე ზღვის მშვენიერების დამარცხებას ეღირსო. მშვენიერი ხარ, მაგრამ, გული გაქვს შხამიანი და თბილი. ზღვაც მშვენიერია, მაგრამ იგი შენსავით გულჩათხრობილი და შენსავით გარყვნილი მხურვალე გულის არ არის. შენი ნავთიკით მოლივლივე ჭავლი ზღვის ცისარტყელის მოციალე ჭავლს არ ედრება.

მაშ რის გრცხვენიან ტბავ?! სირცხვილისა?

ვიცი! შენ მზის უმანკოების გრცხვენიან, გველ-ბაყაყთ ბუდევ, და სცდილობ, რაც შეიძლება, მალე ჩამოერეცხო ძოწეულის სიწითლე შენს კიდეს. შენ მისი ამომავალი სხივები გაშფოთებს და ჩამავალი ციაგი გასისინებს, და მაინც მშვენიერი საზიზღარი ხარ, ქვეწარმავალთ აქოთებისას მწუხრის ჟამს. მაინც მშვენიერი და მასთანვე საზიზღარი ხარ, როდესაც გუნდრუკივით აიკმევი, აინაცრები განთიადისას და შენს მიერვე ახრჩოლილს ბურუსში დადნები, გაიხრწნები და მერე მცე-

ნარეთ ვერცხლის წყალს აპკურებ ხოლმე. შენ ლოცულობ იმ დროს თავს ბურუსის ნაცარ წაყრილი, ბურუსის ლეჩაქ მოხურული? მაშ რას ჰგავს ის საიდუმლო მკრთალი ძალა, რომელსაც შენ მიმოაბნევ ხოლმე? ალბად მთვარე გიყვარს, პირბადრი მთვარე და მის წმიდა სანთელივით მღვენთავს შუქს ემშვიდობები. და მაინც მიყვარხარ, ვინაიდან მე მსურს „საზიზღარი შევიყვარო, რადგან საყვარელი თავის თავად საყვარელია.“

**დემნა შენგელაია**

# არის თუ არა ქართული თეატრი — ქათული?

(იხ. „თ. და ც.“ № 22)

III

აიღეთ ჩვენი სტუდენტობა. ყველა უკმაყოფილოა მათი. ყველა აღნიშნავს მათ სიზარმაცეს, დაუდევრობას. არ შრომობს ქართველი სტუდენტი, გვესმის ყველასგან. მერე რატომ? რა მიზეზია? იქნებ ნიჭი, გამჭრიახობა ხელს არ უწყობს? ან იქნებ იგი ვერ გრძნობს თავის დანიშნულებას. ან იქნებ მასში არა სჩქეფს სამშობლოსადმი სიყვარული. გონიათ სურვილი არა აქვს? არ უნდა? თავს არ იწუხებს? მაგალითს მოგიყვანთ. მე მყავს საუცხოვო, ძვირფასი მეგობარი. წყნარი, მშვიდი, იგი არც სვამს, არც სწევს თუთუნს, ქალებს ხომ ცხრა მთას იქით გაურბის. მისი სურვილია მხოლოდ მეცნიერების შესწავლა: ღარიბი ქონებით, იგი უკანასკნელ გროშს არ ზოგავს ამა თუ იმ წიგნის შესაძენად. მაგრამ რა? ეს ძვირფასი, მაღალ მიზნით გატაცებული ახალგაზრდა მთელი რვა წლის განმავლობაში, მხოლოდ ფიქრობს, გეგმას-გეგმაზედ ადგენს იმის შესახებ, თუ რა გვარად შეუდგება ხვალე — დილიდან მუყაით მუშაობას. და სულდგმულობს მხოლოდ მომავალ მუშაობის სურვილით. ასეთივეა ცოტად თუ ბევრად ყოველივე ქართველი სტუდენტი და მასთანაც ქართველი საზოგადოთ. გამოჰკითხე გულახდილად აუდიტორიაში ახლად შემოსულ ყოველს ქართველს, რა სურვილით მიდის იგი უნივერსიტეტში. პირველი მისი ნაბიჯი ცხად ჰყოფს, რომ სურს მას მეცადინეობა, სწავლის შეძენა, მუშაობა, მაგრამ დიდი ხნით კი არა. გავა დრო და მას უნივერსიტეტშიაც ვეღარ შეხვდებით.

და ამგვარი ტიპი შეუძლებელია სხვა ერის ახალგაზრდათა შორის. მსურს, მინდა, ტვინიც მიჭრის, გულს მიკლავს, ვიტანჯვი, მინდა ვიშრომო, მაგრამ ამაოდ — არ შემიძლიან. არ შემიძლიან მიტომ, რომ ავადმყოფი ვარ, როგორც ტიპი. აზრი საზრობს, გულსა სურს, მაგრამ ეს სურვილი მოქმედებაში ვერ გადაგვიყვანია. მერე? მერე ჩავიქნევთ ხელს და ვამბობთ: „სულ ერთია რაც იქნება — იქნება“. აი ისევ ის მომენტი. აქედანვე იწყება სიცილი და ხარხარი ქართველისა.

არ გვყავს ჩვენ მთელი, მედგარი, მაგარი პიროვნება, — აი ტრაგედია საქართველოსი.

ვის არ ესმის ჩვენში, რომ დღეს დღეობით საქართველოს ხსნა მრეწველობის და კომერციის განვითარებაშია. ვის არ ჰსურს ამ დარგის აღორძინება ჩვენში. მერე შეუდგა ჩვენი ინტელიგენცია ამ გზის წინსვლას? არა, იგი ლამობს, მაგრამ ამაოდ, მას სურს, მაგრამ არ შეუძლიან. ამგვარია არა მარტო ახალგაზრდა ქართველი, არამედ ყველა ჩვენგანი. ჩაიხედეთ ყველამ თქვენს ცხოვრებაში გულადად, გადასინჯეთ იგი და დამერწმუნებით, რომ ეს ასეა.

მერე ჩვენმა თეატრმა განასახიერა თუ არა სცენაზე ჩვენი ასეთი თვისების ქართველი?

მაგრამ ჯერ თვალი გადავავლოთ რუსეთისა და უცხოეთის თეატრებს.

**ალექსანდრე ახმეტელი**

(შემდეგი იქნება)

# წამების ზღვაზე

## IX **სიჩუმის ტრაგედია.**

მსურდა შემექმნა ახალი რამ და კალამი ავიღე ხელში. სულმნათ ხელოვანთა სურათები, რომელნიც ჩემ ოთახის უფერულ კედლებს ამშვენებდა, ნაღვლიან ღიმილით თითქოს ასე მეკითხებოდნენ:

— რას დაწსერ ისეთს, რომ ჩვენ არ გვეთქვას?

ულონოდ დაეცა კალამი ცისფერ ხაზზე. თავს ძალას ვატანდი. ვეძებდი ახალ აზრს, ახალ სიტყვას, ვით ბედუინი უდაბნოდან თავის დამღწევ გზას. ამაო იყო ყოველივე ცდა. ვიტანჯებოდი, უაზრო წერტილებით ვავსებდი რვეულს. ამ დღიდან ნელ-ნელ ინაკვთება ჩემი სიჩუმის ტრაგედიის დასაწყისი.

**მიხ. ბოჭორიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალ-ქვეშა ნავი
(სუბმარინა)




**წყალ-ქვეშა ნავი ზღვაზე**

ამ შესაზარავ ომში ქვეყნიერების ყურადღება მიიქცია წყალ-ქვეშა ნავმა. დღე ისე არ გავა, დეპეშემ ამბავი არ მოიტანოს ამა და ამ ნავმა ესა და ეს გემი დასძირაო. განა ისეთი რა არის ეს ნავი, რომ უზარ-მაზარ ჯავშნიან გემებს ერევა? ამის დაწვრილებით განმარტებას ფრიად ბევრი დრო და ალაგი უნდა, ჩვენ ვეცდებით მოკლედ ავხსნათ.

წყალ-ქვეშა ნავის გაკეთება-გამოგონებაზე დიდი ხანია რაც ცდილობდენ ინგლისელნი ბორნი 1578 წ. და ვან-დრრებელი მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში; ფრანგი დე-ზონი 1653 წ., პაპინი 1689 წ. სიმენსი, ამერიკელი ბიუტნელი 1776 წ. და სხვანი, მაგრამ არც ერთი მათი გამოგონილი ნავები არ გამოდგა და თავის მიზანს ვერ მიაღწიეს. მხოლოდ როცა ისეთი მანქანები გამოიგონეს, რომლებიც ნავთითა და ბენზინით მოქმედებენ, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ახლა ყოველ წელიწადს უფრო და უფრო აუკეთესებენ ამ ნავებს და დღევანდელი წყალ-ქვეშა ვალი ნავი ფრიად საშიშ საომარ იარაღს წარმოადგენს.

ამ ომში ხომ სწორედ საკვირველებასა სჩადიან ეს ნავები: ყოველ დღე უზარ მაზარ გემებს სძირავენ. და განა უბრალო სავაჭრო და სახალხო შეუიარაღებელ გემებს ერევა და ჰღუპავს? არა, იმისთვის სულ ერთია როგორი გემიც უნდა იყოს: სავაჭრო, სახალხო, თუნდ შეიარაღებული საშინელი ზარბაზნებით საომარი კრეისერები, ჯავსნოსანნი და დრედნოუტები. წყალ ქვეშა ნავი ჩამოთვლილ გემებზე გაცილებით პატარაა და ამიტომაც უწოდეს მას ნავი. შიგ სულ 5-8 კაცი ეტევა დიდის გაჭირვებით: ერთი კაპიტანია, ერთი მისი თანაშემწე, ორი მექანიკოს-ინჟენერი, ერთი ყუმბარის მტყორცნელი.

ამათი ჯანსაღობა წინდაწინვე შემოწმებულია ექიმებისაგან, რადგან გულ-სუსტნი, გულ-მავიწყნი და მსმელნი ამ ნავებზე ყოვლად გამოუსადეგარნი არიან და მავნებლობის მეტს ვერაფერს გააკეთებენ. როდესაც წყალ-ქვეშა მვალი ნავი ჩვეულებრივ სამგზავრო გემის გვერდითა სდგას, იმოდენადა სჩანს, როგორც კამეჩთან კუ! და უზარ-მაზარ ჯავშნიან დრედნოუტთან ხომ რწყილის ოდენადა სჩანს, მაგრამ ამასაც ზღვის ძირისაკენ მიაბძანებს ხოლმე!

თანამედროვე წყალ ქვეშა ნავი სიგრძით 250 ფუტია ანუ ჩვენებურად 100 ადლზე ცოტა მეტი; სიგანით 30 ფუტია ანუ 12 ადლი; სიღრმით ანუ სიმაღლით 35 ფუტი ანუ 15-16 ადლი. ფორმა ციგარისა აქვს (გრძელ ბადრიჯანს ანუ სწორე კიტრსა ჰგავს). გაკეთებულია ფოლადისაგან; გვერდები ძალიან მკვიდრი და სქელები აქვს, რომ როცა ზღვაში ჩაიმალება, წყალის სიმძიმემ არ გაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყლიტოს. ზემოდან მოაჯირი აქვს შემოვლებული; შუა ადგილას (ბ) მაღლა, საცა ხუფია ახდილი, ნავში კიბეა; ამ კიბით მეზღვაურნი ამოდიან და ჩადიან; ხოლო როცა ჩადიან ნავში და ნავი ზვირთებში უნდა ჩაეშოს, ამ ხუფს, სასუნთქავ და სანათურ ფანჯრებს მაგრა ჩაჰკეტავენ ხოლმე შიგნიდან, რომ არსაიდან წვეთი წყალი არ შევიდეს, თორემ თუ დაჩქარდნენ და სადმე ღია დარჩომილ ადგილიდან წყალი შევარდა ნავში, იგი მაშინვე დაიძირება და ყველანი დაიღუპებიან. ამიტომ ამ ხუფების მაგრა ჩაკეტვას დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდის ყურადღებითაც ექცევიან.

როცა ნავს გარშემო ჩაკეტავენ და ძირს უშვებიან, ორიოდე საათის შემდეგ შიგ მოსამსახურეთ სუნთქვა ძალიან უძნელდებათ, სცხელათ, ოფლი მოსდით და ძილი ერევათ, რადგან ჰაერი გუბდება, მძიმდება და ფუჭდება. ამიტომ ისინი ყოველთვის სცდილობენ ზღვაში დიდხანს არ დარჩნენ და მალე ამოიყურყუმელავონ სასუნთქებლების გასაღებათ და ჰაერის გასაწმენდათ.

როცა ნავი ზღვაზე დასცურავს, მაშინ იგი მუშაობს ბენზინის შემწეობით დიზელის მანქანით და შეუძლიან საათში 35-40 ვერსი გაიაროს, ხოლო როცა წყალ ქვეშ მისცურავს, მაშინ, რასაკვირველია, წყალის გარღვევა უფრო ძნელია და საათში 20-25 ვერსის მეტს ველარ გადის. როცა ნავი ზღვაში ჩადის, მაშინ დიზელის მანქანას შეაჩერებენ ხოლმე და აკუმულიატორების შემწეობით მოძრაობს და მოქმედებს.

პირველ ხანებში გაკეთებული ნავები ზღვაში დიდხანს ვერა სძლებდნენ და ჰაერის გამოსაცვლელად ხშირად უხდებოდათ მაღლა ამოსვლა, ხოლო დღევანდელი ნავი 12 საათსა სძლებს და შეუძლიან ასი ფუტის ანუ 40 ადლის სიღრმეზე დაეშოს ხალხიც მეტი ეტევა

ძირზე დასაშვებათ ორნაირ საშუალებასა ხმარობენ. პირველი ძველი საშუალებით: გააღებენ ხოლმე ნავის ძირში ხუფებს, წყალი შედის შიგ, ნავი მძიმდება და ნელ-ნელა იძირება, ხოლო როცა მაღლა ამოსვლა უნდათ, ამ წყალს მანქანების შემწეობით შიგნიდან გამოაშხაპუნებენ, ნავი დასუმბუქდება და მაღლა ამოვა; ამ საშუალებას ახლაც ხშირად მიჰმართვენ ხოლმე; მეორე და სულ უკანასკნელი ახალი მექანიკური გამოგონებით ასეა: ნავს წინ და გვერდზე, ისეთი მოწყობილება გაუკეთეს, რომელთა შემწეობით მუშაობის დროს საჩქაროდ დაეშვება ხოლმე ძირზე.

**მ. იანქო**

(დასასრული იქნება)

## მეომარნი ძმანი ბატკუაშვილნი



**ჯარისკაცი ესტატე**

ტყვედ წაყვანილი გერმანელების მიერ. (მხაზავი)



**უნტ.-ოფ. ილიკო**

ოსმალებთან ბრძოლაში მოკლული (ასოთამწყობი)

# მწირი-სარდალი

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“ № 23)

### მოქმედება მეოთხე

მონასტრის ბაღი უკან ქვიტკირის გალავანია. გალავანში, ცოტა მარჯვნივ, დატანებულია მონასტრის ეზოში შემოსასვლელი პატარა კარი; კარის ორსავე მხარეს ქვის დასაჯდომია. გალავნის ზემოდან მოსჩანს ეკლესია და სხვა შენობები წინ ცოტა მარცხნივ, მწვანით შემოგარგნილი ტალავერია, სადაც ხის სუფრა და სკამ-ლოგინი დგას. საღამოხანია და თანდათან ბნელდება. ნინო ზის ღია კართან და ეზოში იხედება: თან ღვივის და მოუთმენლობა ეტყობა. რამდენისამე ხნის შემდეგ ეზოდან შემოდიან ერისთავი ხმლით ხელში და ორი მსახური; ერთს მათგანს სელი უკიდია ერისთავისთვის და ისე მოჰყავს, მეორეს პატარა ბოხჩა უჭირავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნინო** (მიეგებება ერისთავს და მღელვარებით)
გივი რა იქნა?!
**ერისთავი** შვილო, არ მოდის!..
რა ვქნა? ვერაფრით ვერ დავაჯერე,
თუმც ერთობ ბევრი ველაპარაკე:
ხან გაუჯავრდი, ხან მოვეფერე!..
**ნინო** რა ვქნათ, მაშ, ახლა?..
**ერისთავი** რაღა უნდა ვქნათ?..
უნდა დავბრუნდეთ ხელ ცარიელი;
სხვა არაფერი არ დაგვრჩენია.
**ნინო** და აქ დავტოვოთ მამულის მხსნელი?!.
ოჰ, არა!.. მე ვსთხოვ!..
(ეზოში შესვლას აპირებს)
**ერისთავი** (ხელს მოჰკიდებს) შენ რას გახდები,
როცა ვერც მე და ვერც წინამძღვარმა
ვერ-რა გავაწყვეთ?.. სთქვა, ვერ წამოვალ,
თუ არ დამრთოო ნება დედამა
და დედა მისი, როგორც ამბობენ,
არაფრისათვის არ დითანხმდება,
ისე თურმე გაკერპებული!
**ნინო** მაინც ვცდი კიდევ, რა გენაღვლება?
(ანიშნებს მსახურს, ბოხჩა რომ უჭირავს, გაჰყვეს და მიდის. მსახური გაჰყვება)
**ერისთავი** ვაი ჩვენს ყოფნას, რომ ჰაბუკ მწირის
ამარა დავრჩით, — მას ვეხვეწებით
სარდლობასა და არც ის თანხმდება!
(ცისკენ) ოჰ, ღმერთო, ასე რისთვის ვისჯებით?..
(დაჯდება, შეიხსნის ხელიდან კრიალოსანს და ათამაშებს. რამდენისამე ხანს შემდეგ შემოდის მართა და, თავდახრილი, უახლოვდება. ერისთავი დაინახავს და მღელვარებით თავისთვის)
ის არის!..
(მართა ყურადღებას არ აქცევს ერისთავს და მონასტრის ეზოში შესვლას აპირებს. ერისთავი მართას)
მართა!..
(მართა შეკრთება, დადგება და გაოცებული უყურებს. ერისთავი ცოტა ხნის შემდეგ)
მართა არა ხარ?..
**მართა** (მღელვარებით) დიაღ, მართა.
ვარ. შენ ვინ ბრძანდები?..
**ერისთავი** ველარ მიცანი?.. თუ არ გსურს, მიცნო?..
ერისთავი ვარ და გეხვეწები
ჩემი და მთელი ერის სახელით,
რომ ომში წასვლის მისცე შვილს ნება!
ჯარი უსარდლოდ დარჩა და ღირსი
აღარავინ გვყავს...
**მართა** (აღშფოთებით) არ შეიძლება!—
უნდა ხვალ ბერად ის აღიკვეცოს!
ან-კი ვით შესძლებს მწირი, საწყალი,
ვინც ღვთის ვედრებას მხოლოდ სწავლობდა,
რომ ღირსეული იქნეს სარდალი?..
**ერისთავი** მაგისი ფიქრი ნუ გაქვს: ის ჯარსა
მტრის წინააღმდეგ კი უწინამძღვრებს,
ვის ძარღვებშიაც სახელოვანის
სარდლის ოთარის სისხლი ტრიალებს!
თვითონ განგებამ ის დაგვინიშნა;
ჯარმაც ერთის ხმით დაასახელა
და ნუ თუ ახლა შენ იტყვი უარს?—
არა გსურს ჭირში მყოფ ქვეყნის შველა!..
(მცირე დუმილის შემდეგ)
საკვირველია, ქართველ ქალს ეგრე
როგორ დაგეხშო გრძნობიერება,
რომ შვილი მტრისგან გარს შემორტყმულის
მამულის მხსნელად არ გემეტება?!.
**მართა** (აცხარებით) როდესაც მწამდა, ჩემო ბატონო,
რომ ჩვენი მხსნელი სისხლის ღვრა იყო,
მაშინ უარიც არ მითქვამს, ჩემი
შვილი ქვეყნისთვის რომ მომკვდარიყო,
და დამეხოცნენ, იცი კიდევაც,
ქმარი და ორი ვაჟი ბრძოლაში!..
დღეს მხოლოდ ერთი შვილიღა დამრჩა
და, რადგან ხსნასა ვხედავ ლოცვაში,
მე მას საომრად ველარ გაუშვებ!
მაცხოვარმა სთქვა, სასუფეველი
ღვთისა ეძიეთ მარტო და სხვა-კი
მოგეცემათო თვითვე ყოველი!
მეც მინდა, ჩემი უკანასკნელი
შვილი ამ მცნებას აღასრულებდეს
და სასუფევლის მხოლოდ ძებნაში
მთელ თვისს სიცოცხლეს განატარებდეს!..
არა, ტყუილად თავს ნუ იწუხებ:
იგი ვერ დასთმობს ღვთის სამსახურსა
და საიმსოფლო მოღვაწეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ანაცვალებს ამ სოფლიურსა!..
(შემოდიან ნინო, საერო ტანისამოსში გამოწყობილი გივი და მსახური)
**ნინო** (ვერ ამჩნევს მართას და შემოსვლისთანავე, გახარებული)
მამა, ჰა ჩვენი მწირი—სარდალი!..
**მართა** (დაინახავს გივის და საშინელის ხმით)
აჰ! . სიზმარია ეს, თუ ნამდვილი?!.
(მიდის და ხელს ჭკიდებს გივის)
გიორგი, შენ ხარ?..
(ტანჯვით ცისკენ) ღმერთო!..
(გივი საშინლად ღელავს. მართა ნინოს)
ოჰ, გინდათ,
მაინც და მაინც წამართვათ შვილი?..
**ნინო** (ღირსეულად), ჰო, მართალია,
შენი შვილია,
მაგრამ ეკუთვნის აგრეღვე სხვასაც!
**მართა** (გაანჩხლებით) ვის? ვის ეკუთვნის?., ეგების შენცა?..
**ნინო** მეც. . სამშობლოსაც, მთელ
ქვეყანასაც! .
**მართა** ოჰ, არა, არა! ეს მე მეკუთვნის
მხოლოდ და ღმერთსა!..
(ხელს მოხვევს გივის)
**გივი** (ტანჯვით) დედა, ვჭირდები
თურმე სამშობლოს და, რომ დაუთმო
მას ჩემი თავი, გთხოვ... გევედრები!..
**მართა** ვალმოხდილი ვარ მე სამშო—
ბლოსთან!
მას უძღვენ ქმარი და ორი შვილი:
მამა შენსა და ორ შენს უფროს ძმას
ერთ დღეს ხვდათ ბრძოლის ველზე
სიკვდილი!
**გივი** მაშ, მით უფრო არ უნდა ვეცადო,
რომ მამის ღირსი გავხდე მეც შვილი?
სამშობლოს ვალი თქვენ მოგიხდიათ,
მე ხომ ჯერ არა?..
**მართა** (ტანჯვით) შენც მოკვდე გინდა? .
**გივი** თუ საჭიროა ეს სამშობლოსთვის,
რატომაც არა? დიაღაც მინდა!..
**მართა** (ცრემლ-მორეული) მერე მე
რაღას მიპირებ, შვილო?..
(მოხვევს ხელს, მიეყრდნობა გულზე და სტირის)
**გივი** (საშინელის მღელვარების და თავისს თავთან ბრძოლის შემდეგ ტანჯვით).
ოჰ, დედა, კმარა... კმარა!.. მშვიდობით!..
მიგულე მეც მკვდრად და მოიხე
ტანჯული სული ღვთის მიმართ
ლოცვით!..
(გამოუშვებს ხელიდან და მიდის ერისთავთან)
**მართა** (სასოწარკვეთილებით) ოჰ, ღმერთო, ღმერთო!..
(მთელის სხეულით ათრთოლებული მიეყრდნობა ხეს და არ იცის, რა ჰქნას)
**ერისთავი** (ადგება, ხმალს აძლევს გივის და გრძნობით)
შვილო, ეს ხმალი
მიჩვეულია მტრის მუდამ ხოცვას;
დღეს ღვთის განგებით, შენ .გერ-
გო და ჩვენც
შენგან მოველით სამშობლოს დაცვას!..
**გივი** (გამოართმევს ხმალს და მღელვარებით)
თუმც მაშინებს, რომ, გამოუცდელი,
მოვალეობას ვკისრულობ ასეთს,
მაგრამ თავდებად პატიოსნებას
გაძლევთ აქ ჩემსას და იქ მაღალ
ღმერთს,
რომ არც ამ ხმალსა, გმირთა ნაქონსა,
და არც ჩემ თავსა არ ვაჭმევ სირცხვილს
და, თუ ვერ მივცემ ჯარს გამარჯვების,
ვასწავლი მაინც ღირსეულ სიკვდილს!..
(ხმალს წელზე გაიკეთებს და თავდახრილი დგას. მოისმის ზარის რეკა)
**ერისთავი** (მონასტრისკენ ხელებ-აპყრობით)
წმიდა გიორგი, ძლევამოსილო,
მიეც ჩვენ ჯარსა შენ გამარჯვება
და დღემდის შენს მწირს, დღეს
სარდლად რჩეულს
ამ ჭაბუკს (ხელს გაიწვდენს გივისკენ)
ქვეყნის დახსნით დიდება!..
(მართა ზარის ხმაზე გამოერკვევა და რამდენსამე ნაბიჯს გადადგამს მონასტრისაკენ, მაგრამ უეცრად ისევ დადგება და ჩაფიქრდება; შემდეგ სახე გაუბრწყინდება, მიირბენს ნინოსთან, მოჰკიდებს ხელს და შეიყვანს ტაძარში. ერისთავი და გივი ჯერ, გაოცებული, უყურებენ მართას; შემდეგ ერისთავი ხელს მოხვევს გივის და ერთმანეთთან ლაპარაკით მიეფარებიან; მსახურნიც უკან გაჰყვებიან. ზარის ხმა შესწყდება)

[illegible]

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულ კონცერტზე

მუსიკა გრძნობათა აღმძვრელი ხელოვნებაა მისი ძალა იმაში გამოიხატება, რომ მუსიკალური ნაწარმოების-და მიხედვით, გადაგვიშლის ემოციათა ქვეყანას, გრძნობათა სამეუფოს, შინაგან ადამიანისა,— აი მისი სამფლობელო. ხოლო ღირსება კი, მუსიკალური ნაწარმოების, განცდათა მრავალფეროვნობით და ინტენსივობით განიზომება. რავდენადაც მძლედ შეარხევს ჩვენს შინაგან სტიქიას, რავდენადაც ღრმად ჩასწვდება ჩვენს სულს, მით უფრო მეტს ღირებულებას მივაწერთ ამა თუ იმ მუსიკალურ ნაკვთს. აქ, რასაკვირველია, არ შეიძლება ზოგად კანონის მოცემა, საყოველთაო ფორმულის შექმნა. მუსიკის ველი, როგორც საზოგადოდ ხელოვნებისა,—ადამიანის შინაგანი მხარეა, გრძნობა, ემოციები, რომელნიც ჯერ ვით გამოუცნობი რამ სფინქსი, აღმართულა ჩვენი ცხოვრების წინაშე. იგი წმინდა სუბექტიური რამ არის, ობიექტიურ სახე მოუძებნელი, და მიტომაც პირადი ემოციათა-ვითარებაა მისი საზომი. ხოლო მუსიკალური ნაწარმოები,—ეს ხატია შემომქმედის სულის ორთოლვის გადმომცემი, თუ შემოქმედი მელანხოლიის ნაბადშია გამოხვეული, თუ ფლეგმა უხვადაა მის არსებაში მოქცეული, მისი შემოქმედებაც ბნელია, პირქუში, ცივი. ხოლო თუ წინაამდეგ, ხალისიანია, შემოქმედებაც ამგვარ ბეჭედს ატარებს. როდესაც მოცარტი სწერდა თავის „რეკვიემს", ანუ მიცვალებულზე საგალობელს, მან მთელი განცდა შიგ ჩააქსოვა და სიკვდილი ააღაპარაკა. რატომ? მიტომ, რომ შავი კაცი, რომლის შეკვეთითაც სწერდა იგი „რეკვიემს", არხევდა მისი სულის თანაბრობას, აგრძნობინებდა შიშს და სიცივეს, და თანაც წინაგრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას იმავ შავი კაცის ხელით. ყველა ეს მოცარტმა შიგ ჩააქსოვა თავის ნაწარმოებს, და ჩვენც მისი მსმენელნი გრძნობის თვალით ვხედავთ მთელ ვითარებას მოცარტის შეშინებულ სულისას. მაგრამ როდესაც რიხ. ვაგნერის რომელიმე თხზულებას ყურს უგდებ, გრძნობ უკვე სხვა ქვეყანასთანა გაქვს საქმე. იქ, ხავერდოვან ბალახზე, ტყის პირად ჰხედავ თხელ ლეჩაქში გახვეულ შიშველ ქალებს, რომელნიც ვნების აღმძვრელ ცეკვით გევლებიან გარშემო, და მზიურ სიცხოველით გითბობენ გრძნობის წყაროს. და აქ თვით ვაგნერის სტიქიაც თვალწინ გვეშლება.

მაგალითებისთვის შორს ნუღარ წავალთ. ჩვენს ცხოვრებას დაუბრუნდეთ, და იქიდან ამოვკრიბოთ მაგალითები. გავიხსენოთ ბ-ნ სანდრო კავსაძის კონცერტი. მაგრამ გახსოვდეთ კი, რომ აქ შემომქმედი ჩვენი ხალხია, და სიმღერათა ხასიათით თვით ხალხის გულს გადაშლით და წაიკითხავთ. ხომ გახსოვთ „ურმული"? ხომ გახსოვთ მისი მომჯადოებელი სევდა? ერუ, ჩახვეული ხმები ნელი მოთქმით სწუდებიან ცხოვრებით დაჩაგრულ გლეხის პირს, და თან ამოაქვთ მის გულში მოზღვავებული კვნესა. დიდინებს მეურმე და, ვით გლოვის ზარი, ექსოვება ტყე-ჭალებს, მთიდან-მთაზე გადადის და სადღაც შორს, შორს ობლად იკარგება. მაგრამ არ გეგონოთ, რომ იქ მხოლოდ სევდა იყოს უიმედობის და სასო-მიხდილობის არშია შემოვლებული. იქ მძლედ სცემს სიცოცხლის ნაკადი, და სევდის ძაფს გვერდში მისდევს ზვიადობის ხაზიც. იქ ცნაურდება ძალა გლეხისა, რომელიც გაზმულ კვნესაში მაინც გულს ამღერებს, და სასიცოცხლო ენერგიას ასაზრდოვებს. მთელი ზღვა სადი სევდისა გადაგვიშალა არაგვისპირულმა სიმღერამ „ზამთარიო", რომლის წარმტაცი მელოდია ნელა შემოიჭრა ჩვენს არსებაში და თითქოს მართლა ზამთრის სიცივე გვაგრძნობინა. „ქალსა ცრემლი სცვიოდაო" — არც კი იყო საჭირო ეს სიტყვები. უცხო მელოდიები ამ სიმღერისა თვითვე ცრემლს ღვრიან. „რაშორერა", „სალამს გიძღვნის", „ცანგალა" კი სულ სხვა ხასიათისანი არიან. იქ ხალხის ჭენია ცეკვავს, თამაშობს, ხტის, რბის, და ვით ცელქი კუპიდონი დასრიალებს ჭაერის ტალღებში. საუცხოვოა ნ. სულხანიშვილის „დაიგვიანეს"—არია „პატარა კახიდან", მაგრამ გადასხვაფერებით ნამღერს ელფერი დააკლდა. აქ არ შეიძლება სათითაოდ გარჩევა ყველა სიმღერისა. უნდა ვსთქვა კი საზოგადოდ, რომ ამ სიმღერებშია მოქცეული ჩვენი ისტორია, კულტურა, ზნე, ხასიათი. გადაშალეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგინი, ჩასწვდით მათ სიღრმეს, და ქართველი ერის მდიდარ წარსულს მკაფიოდ დაინახავთ და მიტომაც უნდა ვუმადლოთ ბ-ნ სანდრო კავსაძეს, რომ მან გადაგვიშალა ჩვენთვის უჩინარი ქვეყანა, თუმც ქართული კი, და უძლებად დაგვაწაფა ქართველ ხალხის წარმტაც წყაროს. მან გვიმღერა ჭანგები, აგვადელვა, შეგვარხია, ესთეტიურ ემოციათა უმაღლეს საფეხურზე მოგვაქცია და ესთეტიური ექსტაზი განგვაცდევინა. ეს იყო მისი პირდაპირი მნიშვნელობა, ე. ი. ესთეტიური ტკბობა. მაგრამ აქედანვე გამომდინარეობს სხვა რამ, რომელიც ესთეტიურ რკალში აღარ შედის, და რომელსაც ქადაგების, სწავლის ხასიათი აქვს. ეს ის არის, რომ ამ კონცერტით მან ნათლად დაგვანახვა, თუ რაოდენად მდიდარნი ვყოფილვართ სულით, და როგორ დაგლახაკებულნი დავიარებით. რის ხილვა, რის მოსმენა შეგვეძლებია და ვერ ვისმენთ. რა გვქონია და კი არ ვიცით. ეს კომპ. კ ფოცხვერაშვილმა ნაღდად გვაჩვენა და თეორიულად, როგორც მცოდნემ, საკმაოდ დაგვისაბუთა, ეს საზოგადოდ. ხოლო რაც შეეხება შესრულებას, თვით კავსაძეს საოცრად მოსასმენი ხმა აქვს, და უნაზეს ხმათა-ბგერის უნაზესად გადმომცემი ყოფილა. ხმის მიმოქცევა ქართულ-აზიური აქვს, ევროპიზმით შეურყვნელი. ეს კი ქართულ ჭანგებს, ქართულ კოლორიტსვე უნახავს, და ჰქმნის სრულ სურათს. გუნდის ხმები არ ვარგნან. ეს დიდი ხნის იარაა ჩვენი ცხოვრების და როდის ეშველება, — არ უჩანს თავი მშვენიერი იქნებოდა სურათი „დღეობა“, დეკორაციები რომ ისე უშნონი არ ყოფილიყვნენ. ვსარგებლობ და უპასუხებ ბ-ნ დ. კ-ძეს, რომელმაც „საქართველოს“ მეთერთმეტე ნომერში „ვულგარობის“ და „კარიკატურის“ სახელით მონათლა ეს სურათი. არავითარ „ვულგარობას“ აქ ადგილი არ ჰქონია, და არც რაიმე „კარიკატურაზე“ შეიძლება ლაპარაკი. ეს იყო ცოცხალი სურათი და ზემო-მოყვანილი ნაკლი რომ არ ჰქონოდა, უმწიკვლო სურათი იქნებოდა. არც რაიმე შაბლონზე და ულაზათობაზე შეიძლება საუბარი. ეს სურათი იყო, და ყიჟილ-ხივილიც მეტად იყო საჭირო. ჩემი წერილი კი იმით მსურს დავამთავრო, რომ ზედ-მეტად სასურველია ამგვარ ფართო შინაარსიან კონცერტების მართვა. ეს ესთეტიურ ტკბობის წყაროც იქნება და ეროვნული სკოლაც. აქ მოიგონებს ქართველი ქართველობას, აქ ჩასწვდება ერის სულს, აქ ესხეულება ერის ორგანიზმს, აქ გაიზიარებს მის ზრახვას, მის ცეცხლს და ნებსით თუ უნებლიეთი უძღები შვილი დედას დაუბრუნდება.

**ვახ. კოტეტიშვილი**

# ქართული სახიობა

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ** სახალხო სახლში 5 ივნისს წარმოადგინა ას. ცაგარლის „დედის ქალი გულჯავარ“. პიესას მოუმზადებლობა ეტყობოდა. გულჯავარის როლს ასრულებდა ნ. ჩხეიძე, ვახტანგისას — ი. ზარდალიშვილი, რამაზის — ალ. იმედაშვილი. ამათ გარდა სხვანი მოისუსტებდნენ. კარგი გლეხი იყო გ. ფრონისპირელი. ვოდევილში ი. ზარდალიშვილმა ყობოს აღსრულებით ბევრი აცინა საზოგადოება.

— ლ —

**სახალხო უნივერსიტეტმა** სახალხო სახლში 7 ივნის გამართა „საერთაშორისო დილა“, ოთხ განუყოფილებად. ასეთ დილებს ხალხთა ურთიერთ გაცნობა-შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ყველა ერის დამახასიათებელი სიმღერა-ცეკვანი თუ სხვა სრულის სინამდვილით და ხელოვნურადაა წარმოდგენილი. ამ დილაზე, თუმცა თითქმის ქართველობა დაესწრო, ქართული ცხოვრებიდან საზოგადოებას „გააცნეს“ მხოლოდ მ. კავსაძის ძველისძველი სიმღერები. ბ-ნმა ანდრეევმა მოკლედ აუხსნა დამსწრეთ სახალხო მუსიკის მნიშვნელობა და ასეთ დილათა საჭიროება დღევანდელ პირობებში ჩვენს მრავალ ერით დასახლებულ ქვეყანაში. რუსებმა — სლავიანზაგორსკის ლოტბარობით ხალხური სიმღერები გაგვაცნეს, გაბატონებულ ერის სიდიდის მაჩვენებელი, ოსებმა — ზორაევის ლოტბარობით თავისებური გამყვირავი სიმღერები, თათრებმა — ალასკაროვის ხელმძღვანელობით — თათრული ხალხური ერთფეროვანი სიმღერები, სომხებმა ნალბანდიანცმა — სევდის მომგვრელი კვნესა მრავალტანჯულ სომხის ერისა — „ჭოი შვილო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „ისამშობლოვ“, დასასრულ—ქართველებმა—მ. კავსაძის ლოტბარობით (გლეხურად ნაცმულმა გუნდმა) იმღერეს ..იმღერეს რომ ქართველი ჯერ კიდევ ჟენას შეჭყურებს, თავის ხვედრს დასტირის, წყლევავს და წყლევავს ნამგალს, მაგრამ ვერ გაულესნია.. ამ დილის საუკეთესო ნაწილი იყო ახალგაზდა თათრის ადილ ხაიათოვის ცეკვა (თარაქამა), ოსების ქალვაჟთა დაკვრა-სიმღერაზე ცეკვა, მ. ყულიევის თათრული სცენები „აშუღი“, ქართული გუნდის მე'ტვირის სიმღერა—ლექსები. ოსების ქალვაჟთა საუცხოვოდ ცეკვამ ძახოვის ხელმძღვანელობით მთლად მოაჯადოვა საზოგადოება. ერთმა ოსმა ექვსი ხანჯლით ცეკვით ხომ გააოცა დამსწრენი. კარგი იყო აგრეთვე ოვანესიანცის მიერ ჭიანურზე დაკვრა თათრული „ჩარგა“ (რადაც მიზეზით პროგრამაში სომხურად მონათლული). ქ-მა მატინიანცმა როიალზე დაუკრა „ჩარგა“, იმღერა აგრეთვე მსახიობქალმა კ. მ. მიხაილოვმა და კულჩინსკაიამ.

„დილა“ თითქმის საღამოდ გადაიქცა, როგორც ეს შენიშნა ერთმა დამსწრე მანდილოსანმა. სახ. უნივერსიტეტი დროს უნდა აფასებდეს და გასართობს ასე არ აჭიანურებდეს: ცოტა და რიგიანი,—აი რა აზრს უნდა ემსახურებოდეს. ხალხი ნაკლებ დაესწრო, ვინც იყო უმეტესად ქართველობა. **უსავანო**

**სახალხო სახლში** კვირა საღამოს, 7 ივნისს, გ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს „ქრისტინე“. სჩანს, ეს პიესა ძლიერ უყვარს ხალხს, რომ მუდამ თეატრს გაავსებს ხოლმე. ამ საღამოს შევნიშნეთ ქალამნიანი სოფლელი გლეხებიც, რომელთაც ოთხ კაპეიკიანი თუ შაურიანი ბილეთები ხუთხუთ შაურად იყიდეს რომ წარმოდგენას დასწრებოდნენ. თეატრი განსაკუთრებით ხალხით—დემოსით იყო სავსე. პიესამ გვარიანად ჩაიარა, ანკარამ საუცხოვოდ განასახიერა ტანჯულ-გარიყული ქრისტინე; ვ. ნინიძე (დათია), შ. რომანიშვილი (მარიკა), ო. ანტუანეტა (სონა), გ. რუისპირელი (ნატალია), მ. ჭიაურელი (მიტუშა), ი. მინდიაშვილი (ლევანი) და სხვანი თვისის შეთანხმებული თამაშით სრულს სურათს ჰქმნიდენ. ტიპიური მიკიტანი იყო გ. ანაშვილი, მშვენიერი კინტოები ვ. რატიშვილი და ამბ. ივერელი, მაგრამ ეს უკანასკნელი რომ გრიმით ისე არ იმახინჯებდეს ცხვირ-პირს—უჯობს. მესამე მოქმედების გადამღაშებული ადგილები გაშალაშინებული იყო. საჭიროა კინტოები ადგილობრივ—ქალაქური სიტყვებით ალაპარაკონ და არა შიგა და შიგ გურულ-გალიტერატურებულ კილოთი. **წინამძღვ—არი**

**აკაკის საღამომ** სახაზინო თეატრში 9 ივნისს საკმაო საზოგადოება მოიზიდა. რეცენზიას შემდეგ დავბეჭდავთ.

**ვალ. გუნიას თაოსნობით** სახალხო სახლში ოთხშაბათს, 10 ივნისს, წარმოადგინეს „ედმონდ კინი“ (სრულად). პიესამ გვარიანად ჩაიარა, ხალხი საკმაოდ დაესწრო. კინის აღმასრულებელი ვ. გუნია დამსწრეთ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს. **წ—**

**ნაძალადევის თეატრში** კვირას, 7 ივნისს ს. პ. სვიმონიძის რეჟისორობით წარმოადგინეს ა. ცაგარლის „რაც გინახავს ველარ ნახავ“. 1 მა მ.-ქ. ძალიან სუსტად ჩაიარა, ეტყობოდა რეჟისორის უყურადღებობა. აქვე უნდა უსაყვედუროთ ბ ნს ს. სვიმონიძეს თავის შეთხზულ სადღეგრძელოსთვის: რა ადგილი ჰქონდა ყოფილ დეკორატორის შესანდობარს და მის ობლების დიდხანს სიცოცხლეს?

მეორე და მესამე მოქმედება პირველზედ უკეთ ითამაშეს. მოხდენილად შეასრულეს თავთავიანთი როლები: ქ-ნ. ს. გოგაშვილისამ (კატონა), ბ-ნ. ი. გიორგაძემ (ზაქარია), ბ-ნ გაბინაშვილმა (მოურავი) ბ-ნ. ა. ძაძამიამ (მსახური იმერელი), ბ ნ. ს. სვიმონიძემ (გიჟუა) და ს. დოდაძემ (საკულა). აფეტიქას როლში ბ-ნ. გ. გელიკურაშვილი ძალიან სუსტი იყო ქ-ნ—ს. გოგაშვილისას (ოროსმეს), ბ-ნ ანტონ სვანიძეს (დავით) და გ სვანიძეს (არტემ ივანიჩს) მოუმზადებლობა ეტყობოდათ. **სოსო**

**ბაქოში სამხ სალიტ წრემ** სომეხთ. კაცთ. მოყვ. საზ. დარბაზში 31 მაისს სახალხოდ წარმოადგინა „სოფლის გმირები.“

სპ. მცირიშვილის როლს ბ. ი. ინაური ასრულებდა. იგი კარგი იყო მხოლოდ ზოგიერთ ალაგას. ასეთი საპასუხისმგებლო როლი მის ძალას აღემატებოდა. ქ-ნი სალომეშვილი (ანიკო) უკეთესი იქნებოდა—ხმისთვის მოემატებინა: ხმადაბლა ლაპარაკობდა, სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვები ზოგჯერ სულ ვერ გაგვაგონა გარკვევით. ბ. ე. თალაკვაძე (მკლავაძე) ჩინებულად თამაშობდა, ხოლო არ უვარგოდა საამოლისოდ: ტანადობა, გრიმი და ტანსაცმელი. ბ. აკეთელი (ირაკლი) ნამეტარი ჩქარი გამოთქმა ხელს უშლიდა მის რიგიან თამაშს. ქ-ნი ინწკირველისა (ნინო, შემდეგ ბუსუსა) სცენაზე ძლიერ უხერხულად დადიოდა. ტიპიური ფინთიხაძე იყო ბ-ნ ა. ზაქარიაძე დანარჩენები თავის პატარა როლებს რიგიანად ასრულებდნენ.

საერთოთ წარმოდგენამ, როგორც საჭირო იყო, მთლიანად ვერ ჩაიარა. იყო მრავალი წვრილმანი დეფექტები, რომლის თავიდან აშორება თამამად შეეძლოთ სახალხო წარმოდგ. მმართველთ რიგიანის მომზადებით.—უნდა აღინიშნოს, რომ ამ წარმოდგენას წრის მიერ წინად გამართულ წარმოდგენებთან შედარებით, უკეთესობა ეტყობოდა. სასურველია მომავალში დასადგმელი პიესა (ანონსი: მზადდება „უმუშევარნი“ —ბელოისა) მხოლოდ კარგად მომზადების შემდეგ დაიდგას.

დარბაზში მეტის მეტი უწესრიგობა სუფევდა ამ საღამოს წრის გამგეობამ ამ მოვლენას ყურადღება უნდა მიაქციოს

**გულისაბა**

**დუშეთის საზოგადოების დარბაზში** 24 მაისს დუშეთის სცენის მოყვარეთა წრემ გამართა მეორე წარმოდგენა დარბეულ აჭარლების სასარგებლოდ. წარმოადგინა „სამშობლო“ დავ. ერისთავისა, მეტად ძნელი და რთული პიესა... არ გვეგონა, თუ დუშეთში „სამშობლო“ დაიდგმოდა (ტეხნიკურის მხრივა), მაგრამ აქაურმა სცენის მოყვარეებმა შეუძლებელი შესძლეს და მოლოდინს გადააჭარბეს. მართალია, პიესა უნაკლოდ არ იყო დადგმული, მაგრამ თუ მხედველობაში მიიღება ის პირობები, რა პირობებშიც აქაურ სცენის მოყვარეებს უხდებათ მუშაობა, მაშინ თამამად ითქმის, რომ პიესა თავის და კვალობაზე უნაკლოდ იყო წარმოდგენილი...

უმთავრეს როლებს ასრულებდენ ბ-ნნი ა. ბერიაშვილი –ხიმშიაშვილს, ვ. სიდამონიძე—ქეთევანს, დ. კობიაშვილი—ს. ლეონიძეს, ლ. ხანდოელი—შაჰს და სხვ...

ბ. ა. ბერიაშვილმა (ხიმშიაშვილი) საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა, რის გამოც იგი ტაშით დააჯილდოვეს... ვ. სიდამონიძე (ქეთევანი) პირველ ორ მოქმედებაში მოისუსტებდა, მაგრამ თან და თან გასწორდა და ბოლო მოქმედებაში, როდესაც ლევანი ჰკლავს, მეტად კარგი შეიქმნა... ლ. ხანდოელს (ბერიძე) ქება არ უნდა, იგი დუშეთის სცენის დამამშვენებელია.., დ. კობიაშვილმა (ლეონიძე) თავისი დინჯი, აუჩქარებელი თამაშით ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აშკარად ეტყობოდა, რომ შესმენილ-შეტკბობილი ჰქონდა როლი. ა. ინაშვილი (დადიანი) ნამდვილი ლაღი თავადიშვილი იყო, იგივე გოგიას როლში—თავგანწირული მამულიშვილი. ორთავე როლი კარგად ჩაატარა. ს. ბერიაშვილმა თვისი დაკვირვებული თამაშით დაგვიხატა ნაზი, მშვიდი, ავადმყოფი მეტად გულკეთილი ფაიხოში. საჩუქრად ტაში და ყვავილები მიიღო. მ. ოსიტაშვილი (ისრაფილ), ს. კობაიძე (ისმაილ), ი. ფავლენიშვილი (ისკანდერ-ბეგ), სამაშვილი (დაუდ-ბეგ) და აგრეთვე სხვებიც კარგები იყვნენ, მასსიურ სცენებსაც არა უჭირდა რა. საერთოდ პიესამ მწყრობრად და მთლიანად ჩაიარა... ხალხი ბლომად დაესწრო და ძლიერ ნასიამოვნებიც დარჩა.. ანტრაქტებში ზურნა უკრავდა...

მხურვალე მადლობის ღირსი არიან: ბ-ნნი მ. კობიაშვილი მეუღლითურთ, როგორც ინიციატორები საქველმოქმედო წარმოდგენის გამართვაში, ვასო მამისაშვილი (სცენარიუსი), ქრ. ფიცხელაური (სუფლიორი) და უფრო კი ლადო ხანდოელი, რომელსაც დიდი უნარი და ენერგია გამოეჩინა, როგორც პიესის მომზადებასა, აგრეთვე დეკორაციების დახატვაში. არავის დაეზოგა თვისი ძალა: არც სცენის მოყვარეებს და არც ხალხს, ყველანი ერთის აზრით შეერთებულიყვნენ და მოსულიყვნენ დარბაზში თავიანთი დაწიოკებული მოძმე აჭარლების დასახმარებლად... ამიტომ დუშეთის სცენის მოყვარეთა წრეს ვუსურვებ გამარჯვებას, წინსვლასა და მეტს ენერგიას, რომ ძმობა-ერთობით და სიყვარულით სისტემატიურად ემართოს წარმოდგენები პატარა დუშეთში და ღირსეული ნაყოფიც გამოეღოს მის წმინდა, უანგარო დაწყებულ საქმესა...

**კანრაძე**

**დ. ზუგდიდში** 31 მაისს ადგილობრივ ბიბლიოთეკა—სამკითხველოს სასარგებლოდ სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ვ. გუნიას დრ. „და—ძმა“. თუმცა დეკორაციების და შესაფერ ტანსაცმელის უქონლობა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები ხელს უშლიდა, მაინც წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა მეთაურთა მეცადინეობის წყალობით. ეტყობოდა სცენის მოყვარეებსაც ნათლად შეეგნოთ, თუ რა დიად მიზანს ემსახურებიან განსაკუთრებით ყურადღების ღირსნი არიან: ბ. ჩხოლარია (გაიოზ ფალავა), რომელმაც შესძლო ძველი ქართველის გმირული ტიპის დახასიათება; ბ-ნი კობახიძე (ოტია ჯოლია),—ნათლად წარმოგვიდგინა სამშობლოს მოღალატის, ქვენა გრძნობებით გამსჭვალულ ადამიანის ტიპი; მხოლოდ ზედმეტი სიჩქარე ლაპარაკში ცოტად შთაბეჭდილებას აქარწყლებდა. არა უშავდა ფაშას როლში ბ. ჯიქიას. ქალები ქ-ნი გ—ლია (მარინე) ქ-ი კ—ძე (გადია) მოისუსტებდენ, ამით აიხსნება, რომ პირველ მოქმედებას სიცოცხლე აკლდა, მაგრამ უკანასკნელმა ორმა მოქმედებამ, განსაკუთრებით ბოლო სცენამ, დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში, მოღალატე ოტიას მკვლელი გაიოზი ტაშით დააჯილდოვეს.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ზუგდიდის საზოგადოება გონებრივად მომწიფებულია, შეგნებული აქვს თეატრის მაღალი კულტურული მნიშვნელობა. ამიტომ დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურს გაუწევენ ადგილობრივი სცენის-მოყვარენი თავის მასაზრდოებელ საზოგადოებას, თუ დაწყებულ საქმეს განაგრძობენ და შესაფერ პიესებს დასდგმენ, მხოლოდ უფრო ხელ-მისაწდომ ფასებში, და მით ხელს შეუწყო?ენ ჩამორჩენილ ხალხის განვითარებას. როგორც გავიგე, ამხანაგობას განუზრახავს ზაფხულში წარმოდგენების მართვა. ვუსურვებ მას გამარჯვებას ამ ფრიად სიმპატიურ და ნაყოფიერ საქმეში, მხოლოდ, ვიმეორებ, საჭიროა შესავალ ბილეთების ფასის საგრძნობლად დაკლება, რათა დემოკრატიულ ნაწილს საშუალება მიეცეს წარმოდგენებზე დაესწროს.

**ა. ოდიშელი**

**დ. ბაღდადში შალვა ჯაფარიძის გამგეობით** კვირას, 17 მაისს, ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა ქუთაისის დასის მსახიობის ბ. სარელის მონაწილეობით წარმოადგინა „დასჯილი“. წარმოდგენამ მწყობრად. ჩაიარა. 31 მაისს შალვა ჯაფარიძისავე მეთაურობით ქუთაისის დასის მსახიობთა ბ. ბ. მურუსიძის და ჩხიკვაძის მონაწილეობით წარმოადგინეს კომედია „სიძე-სიმამრი“ და ვოდევილი „ტიმოთეს ლელვი“. ისედაც სუსტი, ხალხისთვის შეუფერებელი შინაარსის კომედია საზოგადოდ სუსტად ითამაშეს და შესაფერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს საზოგადოებაზე ვერც „ტიმოთეს ლელვმა“ მოახდინა მოსალოდნელი შთაბეჭდილება, ყველა ამის მიზეზია მოთამაშეთა მოუმზადებლობა, შეუთანხმებელი თამაში. აღსანიშნავია მხოლოდ ბ. მურუსიძის გამოცდილი თამაში.

ორივე წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

მადლობის ღირსია ბ. შალვა ჯაფარიძე და სცენის მოყვარეები, რომლებიც შრომასა და ღონეს არ ზოგვენ და ბაღდადში სახალხო წარმოდგენებს მართვენ ხოლმე.

**—ლი.**

---

# წვრილი ამბები

◆ **ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ** გადასწყვიტა, მომავალი წლიდან დასი მოიწვიოს და წარმოდგენების მართვა დაიწყოს ცირკის შენობაში.

---

◆ **ამ მოკლე ხანში გამოვა „თეატრი და ცხოვრების“ საგანგებო ნომერი აჭარელთა შესახებ.**

---

◆ **აჭარლების სასარგებლოდ დღეს**, შაბათს, 13 ივნისს, სახაზინო თეატრში საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით და გეოგარ ხანუმ პრინცესა კაჯარისა და კნ. ელისაბედ ერეკლეს ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის დიასახლისობით ფრიად საყურადღებო სამხატვრო-სამუსიკო სალამო იმართება.

◆ **მგოსანს ვაჟაფშაველას** უკეთესობა ეტყობა.

◆ **ირ. ევდოშვილი** წაღვერს წავიდა სამკურნალოდ.

◆ **ილ. ფერაძე** ქუთაისში, 21 ივნისს წაიკითხავს რეფერატს დ. ბაქრაძის შესახებ.

◆ **მსახიობნი შ. გომელაური** და **ალ. შანშიაშვილი** 19 ივნისს სახალხო სახლში გამართავენ ფრიად საყურადღებო სალამოს.

◆ **სახალხო აშუღი** ჰაზირა ირკუტსკსგადასახლდა.

◆ **ექ. ივ ელიაშვილი** სთარგმნის პროფ. ი. ი. მეჩნიკოვის ცნობილ სამეცნიერო-ფილოსფიურს თხზულებას „ადამიანის ბუნება“ (Этюды о природѣ человѣка). ამ შრომის ბეჭდვა დაიწყება ჟურნალ „ახალ მოამბე“—ში.

◆ **„ახალი მოამბე“-ს რედაქციამ** დასაბეჭდად მიიღო, სხვათაშორის: მ. ჯანაშვილის „ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობა და მის შრომათა აღნუსხვა“ და თ. ჟორდანიას „არაბთა შემოსევა საქართველოში“.

◆ **ორშაბათს სახალხო სახლში** ქართ. მსახ. მიერ წარმოდგენილი იქნება „ღალატი“.

◆ **არფაზე დამკვრელი ქალი** თავ. აბაშიძის ასული თამარი გასულ კვირას პეტროგრადიდან თბილისს ჩამოვიდა. შარშან იგი მოსკოვის დასის „ღამურა“-ში მონაწილეობდა, შარშანწინ პეტიგორსკში იყო მიწვეული. მისი მონაწილეობით კონცერტები გაიმართება შუა ზაფხულს თელავში, აგვისტოს 15—25 თბილისში. როგორც შევიტყეთ. „ახალ კლუბს“ განუზრახავს მისი მიწვევა.

◆ **სოფ. ჯუგაანში** შალვა მენთეშაშვილის თაოსნობით ამ თვის ბოლო რიცხვებში აკაკის ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება ფრიად საყურადღებო სალამო. მონაწილეობას მიიღებენ ი. მჭედლიშვილი, ი. დაროშვილი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი.

◆ **მხატვარ მ. თოიძის** ნიხატვების გამოფენაა „ახალ კლუბში“.

◆ **ცნობილი მწერ. ს. ფირცხალავა (სიტყვა)** კვირას 14 ივნისს, გორში წაიკითხავს ლექციას—„სამაჰმადიანო საქართველო – ძველი მესხეთი“.

◆ **მარტყოფში** აკაკის ფონდის გასმწლიერებლად კვძრას, 14 ივნისს წარმოადგენენ „პატარა კახი“-ს კახის როლს შეასრულებს შ. გომელაური.

◆ **ახალგაზდა მწერალმა ალ. წერეთელმა** წელს გათავა უმაღლესი სწავლა ხარკოვში ისტორ.-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და ახლა ჯარში იწვევენ.

**მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა**

**მოთხრობანი** იოსებ გედევანიშვილისა, გამოცემა იასონ კერესელიძისა, № 9, 72 გვ. ფ. 25 კ. წიგნში მოთავსებელია ამ ჩვენი ნიჭიერი დრამატურგ-მწერლის ოთხი მოთხრობა, მშვენიერის ენით მხატვრულად დაწერილი. წიგნი დაბეჭდილია სუფთად კარგს ქაღალდზე. ქართული მკითხველი სულიერად დასტკბება ამ მოთხრობათა წაკითხვით.

---

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიიღება ხელის მოწერა.

**ამა 1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და სა-
პოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი**

# „ახალი მოამბე“

**ჟურნალი პარტიათა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა**

**ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი**

**ჟურნალში დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.**

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25—დე, ზომით 15—20 ფორმამდე

**რედაქციის ბინა**: თბილისი. ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тифлисъ, ред. груз. жур „Ахали Моамбэ“.

**ფასი**: წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, редакція груз. жур. „Ахали Моамбэ“ Ивану Спир. Элiашвили.

რედაქტორ-გამომცემელი **ნინო ბეჟ. ყიფიანისა**

---

ახლახან გაიხსნა

# ა ფ თ ი ა ქ ი

## პროვიზორის ა. ს. ახვლედიანისა

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

---

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**

**ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი**

# „სახალხო ფურცელი“

(კვირაობით) **სურათებიანი დამატებით** (კვირაობით)

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ. ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

**ხელის მოწერა მიიღება**: „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. »Сахалхо Пурцели«, почт. ящ. № 190.

---

**ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა**

# ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი** და **თაგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა გ ბუკია.

**თანამშრომლები**: ალბურიონი, ბლიაძე, ეშვი, ეშმაკი, თაგუნა, კენტი, კვინწარი, კოდო, მთრიელი, ნაფუგოდონოსორი, ონისიმე, პიტ'ა, ფონ-ტეფო, შ. ქიქოძე, შმერლინგი, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი—1 წლით 5 მ., 6 თვით 3 მან. 3 თვით 1 მ. 50 კაპ.

„ახალ მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები. შარადები, გამოცანები. ნაკვესები და სხ.

ჟურ. დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлиссъ С.П, Таварткиладзе. Баронская 15, почт. ящ. № 190 (ეშმაკის მათრახისთვის)

---

Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გამოცემა

უველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

**ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება**

**შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ**

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

---

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძმველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9

ტელეფონი № 71-2.

---

# განყოფილება

## ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ

საკუთარ სახლში

# იყიდება

## იმავე ხარისხის

# საქონელი

როგორც პუშკინის ქუჩაზე

---




---

# ნომრები „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზვარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი. მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)